პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 6 (2983) • კვირა, 9 იანვარი, 1966 წ. • ფასი 3 კაპ.

## მატჩების გმირია ა. სხიერელი

რომი, 7 იანვარი. საბჭოთა კალათბურთელებმა თავიანთი იტალიური ტურნეს ბოლო ორი მატჩიც გამარჯვებით დაამთავრეს. [illegible] ნიაში სძლიეს ადგილობრივ „კანდი-ალჩიზს“ — 86:67, ხოლო სარდინიის დედაქალაქ კალიარში მოუგეს იქაურ „ოლიმპიას“ — 102:72.

ორივე მატჩში სტუმართა შორის საუკეთესო იყო თბილისელი ა. სხიერელი. პირველ შეხვედრაში მან გუნდს მოუტანა 17 ქულა, ხოლო მეორეში — 24.

ამრიგად, იტალიაში გამართული სამი მატჩიდან საბჭოთა კალათბურთელებმა სამივე მოიგეს.

## ორ თამაშში — 41 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ასეთია ჩემპიონატის კალენდარი



### I ჯგუფი

თამაშები ჩატარდება ლონდონში

11 ივლისი. ინგლისი — ურუგვაი.
13 ივლისი. საფრანგეთი — მექსიკა.
15 ივლისი. ურუგვაი — საფრანგეთი.
16 ივლისი. მექსიკა — ინგლისი.
19 ივლისი. მექსიკა — ურუგვაი.
20 ივლისი. საფრანგეთი — ინგლისი.

### II ჯგუფი

ბირმინგემსა და შეფილდში

12 ივლისი. გფრ — შვეიცარია.
13 ივლისი. ესპანეთი — არგენტინა.
15 ივლისი. შვეიცარია — ესპანეთი.
16 ივლისი. არგენტინა — გფრ.
19 ივლისი. არგენტინა — შვეიცარია.
20 ივლისი. ესპანეთი — გფრ.

### III ჯგუფი

ლივერპულსა და მანჩესტერში

12 ივლისი. ბულგარეთი — ბრაზილია.
13 ივლისი. უნგრეთი — პორტუგალია.
15 ივლისი. ბრაზილია — უნგრეთი.
16 ივლისი. პორტუგალია — ბულგარეთი.
19 ივლისი. პორტუგალია — ბრაზილია.
20 ივლისი. უნგრეთი — ბულგარეთი.

### IV ჯგუფი

სანდერლენდსა და მიდლსბროში

12 ივლისი. სსრ კავშირი — კსდრ (მიდლსბროში).
13 ივლისი. ჩილი — იტალია.
15 ივლისი. კსდრ — ჩილი.
16 ივლისი. იტალია — სსრ კავშირი (სანდერლენდში).
19 ივლისი. იტალია — კსდრ.
20 ივლისი. ჩილი — სსრ კავშირი (სანდერლენდში).

•

მეოთხედფინალში გავა 8 გუნდი (ორ-ორი თვითეული ჯგუფიდან). I ჯგუფში გამარჯვებული შეხვდება II ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გუნდს, II ჯგუფში პირველ ადგილზე გასული კი — I ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფს. III ჯგუფში გამარჯვებული—IV ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს და IV ჯგუფში უძლიერესი — III ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრებულს.

პირველ ნახევარფინალში შეხვდებიან მეოთხედფინალების I და III მატჩებში გამარჯვებულნი, ხოლო მეორე ნახევარფინალში — მეოთხედფინალების II და IV მატჩებში გამარჯვებულები. ნახევარფინალები გაიმართება: 25 ივლისს ლივერპულში და 26 ივლისს — ლონდონში. ფინალი შედგება 30 ივლისს, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე.

## საათი!

◆ მოსკოვი, 8 იანვარი. სპრინტში დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოციგურავეთა ტრადიციული მატჩი: 500 მეტრზე რბენაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ამოჩნდნენ მასპინძლები — სვერდლოვსკელი ბ. გულიაევი (41,7 წამი — „დინამოს“ საციგურაოს რეკორდი), მოსკოველები ვ. ორლოვი (42,0) და ვ. კაპლანი (42,2).

## მეოთხე ტრამპლინიც...

ვენა, 8 იანვარი. ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე ხტომებით დამთავრდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „4 ტრამპლინის ტურნირი“. თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. კანკონენმა (ფინეთი). მან ბრწყინვალე სტილში შეასრულა ორი საუცხოო ნახტომი (100,5 და 100,5 მ) და დაიმსახურა 235,7 ქულა. ამ წარმატებით სახელგანთქმულმა ფინელმა ყველას გაუსწრო, საერთო ჯამში დააგროვა 869,5 ქულა და მოიგო „4 ტრამპლინის ტურნირი“.

საერთო II ადგილზეა დ. ნოიენდორფი (გდრ), რომელიც ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე ლიდერად მოვიდა. გერმანელმა დააგროვა 221,3 ქულა (97 და 98 მ) და საერთო ჯამში იგი მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა ფინელს.

ბოლო ტრამპლინზე შეჯიბრებაში II ადგილი დაისაკუთრა ნორვეგიელმა ბ. ვირკოლამ (227,2 ქულა, 100 და 98,5 მ), მაგრამ მას საერთო ჯამში ნოიენდორფზე ნაკლები ქულა (843) აღმოაჩნდა და ამიტომ იგი III ადგილზე დარჩა.

საბჭოთა მხტომელთაგან საუკეთესო იყო ა. ივანიკოვი, რომელმაც საბოლოოდ 783,2 ქულა დააგროვა (X ადგილი). დანარჩენები — მ. ვერეტენიკოვი, ი. ზუბარევი და კ. ხაქაძე კიდევ უფრო უარესად გამოვიდნენ.

## გუშინ...

### კიევის „დინამოს“ მეტოქე ლიდეროზს

შოტლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა გლაზგოს „სელტიკმა“, რომელმაც დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „დანდი იუნაიტედი“ — 1:0. გოლი გაიტანა გალახერმა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „სენტ-ჯონსტონს“ — 3:0. სამივე გოლის ავტორია გლაზგოელთა ნახევარმცველი მაკლინი.

ლიდერთა მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 18 | 64:17 | 31 |
| „გლაზგო რეინჯ“. | 19 | 58:19 | 31 |
| „დანფერმლ. ატლ“. | 19 | 55:27 | 29 |
| „დანდი იუნაიტ“. | 17 | 45:18 | 25 |

(საქ. ინფ.).

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის

# დადგენილება უნდა შესრულდეს!

### საქართველოს სპორტკავშირში

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა 1963 წლის 12 დეკემბერს მოისმინა რესპუბლიკის ნიჩბოსნების (ბაიდარა და კანოე) მონაწილეობის შედეგები სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში და დასახა ამ სახეობის განვითარების ოთხწლიანი გეგმა, რომლის მიზანს შეადგენდა ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ჩვენი გუნდების უკეთესად მომზადება.

ამას წინათ სპორტკავშირის პრეზიდიუმმა იმსჯელა აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე და მიღწევებთან ერთად გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები. აღინიშნა, რომ დადგენილებას სათანადოდ ვერ ასრულებენ ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოები. „დინამო“, „განთიადი“ და „ლოკომოტივი“ ცუდად იბრძვიან თბილისში ნიჩბოსნობის განვითარებისთვის. „განთიადმა“ და „ლოკომოტივმა“ მთელს მუშაობას თავი მოუყარეს მცხეთაში, სადაც თითო ძლიერი კოლექტივიც კი არ აქვთ. მაშინ, როცა „განთიადის“ ჯგუფები სუსტად საქმიანობენ ბათუმში, სოხუმში, ფოთში. „ლოკომოტივმა“, რომელსაც თბილისის ზღვაზე აქვს ბაზა და ქალაქის სპორტკავშირმა საკმაო რაოდენობით ნავებიც დაუთმო, დღემდე ვერ გაშალა პრაქტიკული მუშაობა. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თბილისის სპორტკავშირის ბაზა თბილისის ზღვაზე, საქართველოს სპორტკავშირისა — მცხეთაში, რუსთავის სპორტკავშირისა — რუსთავში, „განთიადისა“ — ბათუმში და „დინამოსი“ — სოხუმში.

მეტისმეტად გაჭიანურდა ფოთის „ვოდნიკის“ საწყლოსნო სადგურის კეთილმოწყობა. „ბურევესტნიკის“ ბაზა თბილისის ზღვაზე და „განთიადისა“ — მცხეთაში, 3 წელია შენდება. მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს თბილისის სპორტკავშირის ბაზა მტკვარზე.

ყველა ისინი მოკლებულია ნორმალურ გასახდელებს, ცხელ შხაპს, ტივებს, სასწავლო დაზგებს, კატარღებს, დამხმარე სპორტინვენტარს.

სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, მცხეთისა და დუშეთის სპორტკავშირები არ აწყობენ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს, ცუდად ამოწმებენ მათ საქმიანობას. სწორედ ამიტომ შემცირდა მწვრთნელთა შრომისნაყოფიერება, გახშირდა დისციპლინის დარღვევის ფაქტები, იკლო ასპარეზობათა რაოდენობამ. ყოველივე ამან კი გამოიწვია ის, რომ საქართველოს ნიჩბოსნები წარუმატებლად გამოვიდნენ საუწყებო და საკავშირო ტურნირებში.

კერძოდ, არმიელთა სპორტკლუბის გუნდმა შეიარაღებულ ძალთა საკავშირო შეჯიბრებაში დაიკავა IV ადგილი, დინამოელებმა — ცენტრალური საბჭოს პირველობაში — VI ადგილი (ექვს გუნდში!), საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრებმა — საკავშირო სპარტაკიადაში — IX. ასეთივე შედეგით დაამთავრეს საკავშირო სპარტაკიადა საქართველოს მოსწავლე-ნიჩბოსნებმაც.

სახარბიელო მდგომარეობა არც რესპუბლიკურ პირველობაზე იყო. აქ სუსტად გამოვიდნენ აჭარის, ქუთაისისა და დუშეთის გუნდები. აჭარამ 11 მონაწილის ნაცვლად ტურნირზე გამოგზავნა 9, თანაც მათ შორის მხოლოდ ერთი იყო მოზრდილი. ფოთელებმა კი გუნდში არ შეიყვანეს არც ერთი გოგონა და ქალი, ხოლო ვაჟებში „ბებრები“ ასპარეზობდნენ. ადგილი ჰქონდა „ნასესხები“ სპორტსმენების გამოყვანას.

სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის უკმარობის გამო ნიჩბოსნები ხშირად არღვევდნენ დისციპლინას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსთაველებმა თ. კუპრაშვილმა, ა. წივწივაძემ, ო. გაგარინმა, გ. გაფრინდაშვილმა, თბილისელებმა ჯ. გუნიამ, ვ. კალიუჟნიმ, ნ. ხლოპკოვმა, მცხეთელებმა ა. ბერიძემ, შ. კოზმანაშვილმა, ნ. ოსეფაშვილმა, ო. ბერიკიშვილმა, ი. ბუზიაშვილმა, ო. მარეხაშვილმა, სოხუმელებმა ზ. უზუნიანმა, ვ. ლობკომ, ბათუმელმა გ. ვლასენკომ.

ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი ნიჩბოსნების უხეირო გამოსვლა სსრ კავშირის ჩემპიონატში (X ადგილი).

არსებული ხარვეზების ლიკვიდაციისა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების მიზნით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ავალებს უწყებებსა და სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების სპორტკავშირებს სასწრაფოდ აღმოფხვრან ბაზების კეთილმოწყობაში არსებული ნაკლოვანებები, რეგულარულად მოისმინონ ამ სახეობაში მდგომარეობის საკითხები, ხშირად გამართონ შეჯიბრებანი და სამატჩო შეხვედრები, სპორტსმენებში გააძლიერონ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, სათანადოდ გამოეხმაურონ [illegible] ღვევის ყველა [illegible].

პრეზიდიუმმა წესრიგის დამრღვევებს — ჯ. გუნიასა და თ. კუპრაშვილს გამოუცხადა საყვედური და მისცა 1 წლით პირობითი დისკვალიფიკაცია. ა. წივწივაძეს, ა. ბერიძეს, ო. გაგარინს, გ. ვლასენკოს, ნ. ხლოპკოვს, ო. ბერიკიშვილს, ი. ბუზიაშვილს, ვ. კალიუჟნის, ო. მარეხაშვილს, ვ. ლობკოს, შ. კოზმანაშვილს გამოუცხადა საყვედური, ხოლო ზ. უზუნიანსა და გ. გაფრინდაშვილს — მიეთითათ.

მწვრთნელებს თ. ნევეჟტიდის, ნ. რაზმაძეს, ი. ჩხაიძეს (ყველანი — თბილისი), ზ. შმიდტს (აჭარა), თ. ალიბეგაშვილს, თ. მარეხაშვილს (ორივენი — მცხეთა), მ. პოგრებეცკის (რუსთავი), ი. ემუხვარს (აფხაზეთი) სპორტსმენებთან სუსტი პოლიტაღმზრდელობითი მუშაობისთვის — მიეთითათ. მწვრთნელებს დაევალათ ყოველნაირად იზრუნონ საერთაშორისო ოსტატების, ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა მომზადების გეგმების შესრულებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კანოისტების, საბაიდარო ნიჩბოსნობაში გრძელ დისტანციებზე მრბოლელებისა და სპორტსმენ ქალთა აღზრდას.

პრეზიდიუმის დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე მოსწავლეთა და სოფლის სპორტსმენთა შორის საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს განვითარების საკითხებს.

## ემბლემა სპარტაკიადისთვის

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ დაადგინა 1966 წლის 15 თებერვლამდე ჩაატაროს კონკურსი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის საუკეთესო ემბლემაზე.

კონკურსში დაიშვებიან ავტორთა შემოქმედებითი კოლექტივები და ცალკეული მხატვრები. კონკურსის მიზანია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მაღალმხატვრული ემბლემის შექმნა, რომელიც გამოსახავს 50 წლის განმავლობაში ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდასა და ფორმირებაში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წარმატებებს, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

კონკურსზე უნდა წარადგინონ ემბლემის დედნები, რომლებიც შესრულებული იქნება სურათის სახით, აგრეთვე ლითონსა და პაპიე-მაშეზე, ნიმუშების გარდა აუცილებელია განმარტებითი ბარათის წარდგენა. ნიმუშთა რაოდენობა, რომლებიც კონკურსზე უნდა შემოვიდეს, შეუზღუდველია.

ემბლემის საუკეთესო ნიმუშებისთვის დადგენილია შემდეგი პრემიები:

1 პირველი პრემია — 150 მანეთი.
1 მეორე პრემია — 100 მანეთი.
2 მესამე პრემია — 75-75 მანეთი.

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება ავტორებს წერილობით ეცნობებათ.

დედნები უნდა გაიგზავნოს მისამართით: Москва, Скатертный пер. № 4, წარწერით — „На конкурс“.

## საქართველოს „მხიარული დელფინები“

შეჯამდა „მხიარული დელფინის“ საკავშირო კონკურსის IV ეტაპის შედეგები. საუკეთესოთა შორის 3 ადგილი დაისაკუთრეს საქართველოს ჭაბუკმა მოცურავეებმა: 200 მ კომპლექსურ ცურვაში III ადგილზეა 15 წლის მ. ცქიტიშვილი (მწვრთნელი გ. დათაძე), რომელმაც აჩვენა 2.35,0 და მხოლოდ 1 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს — მოსკოველ გ. დავიდოვს; 400 მ ამავე სტილით ცურვაში II ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის აღსაზრდელმა, 17 წლის გ. შიხიკიანმა — 5.08,9. ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში მესამეა ჯ. ჩაბაკაური (მწვრთნელი ნ. უმერენკო) — 241 სმ.

საუკეთესოთა შორის ვხვდებით კიდევ ერთ ქართველს — გ. ქართველიშვილს. ეს გოგონა ნოვოსიბირსკელია და ყველაზე კარგი დრო (1.16,0) აჩვენა 500 მეტრზე რბენაში.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გარდამავალი პრიზი — „მხიარული დელფინი“ დარჩა მოსკოვის „დინამოს“ ბავშვთა სპორტსკოლას, რომელმაც წლის განმავლობაში 34 საპრიზო ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, საქართველოს ვერც ერთი სპორტსკოლა ვერ მოხვდა უძლიერესთა ათეულში.

უკვე დაიწყო წლევანდელი ასპარეზობის I ეტაპი, რომელიც 31 იანვრამდე უნდა დამთავრდეს. ნორჩი სპორტსმენები „გამოცდებს ჩააბარებენ“ 50-მეტრიან აუზში ცურვასა და საერთო ფიზმომზადების სხვადასხვა სახეობაში.

## სექტორებზე სიცარიელეა

თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში „სპორტის დედოფლის“ 2675 თაყვანისმცემელი უნდა იყოს. ეს საკმაოდ დიდი ძალაა, რომელსაც ყოველთვის წარმატებით შეუძლია დაიცვას არა მარტო თავისი კოლექტივისა და რაიონის სპორტული ღირსება, არამედ დედაქალაქის ნაკრებშიც დაიმკვიდროს გარკვეული ადგილი. მძლეოსანთა განკარგულებაშია სპორტკლუბ „განთიადის“ სტადიონი, რომელიც ამ სახეობაში სავარჯიშო ერთადერთი, შედარებით ნორმალური ბაზაა რაიონში. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მრავალრიცხოვანი არმიიდან შარშან სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე მხოლოდ 40 ათლეტი ვარჯიშობდა.

მიზეზი?

იქნებ აქ ინვენტარი არ ყოფნით? არა, სტადიონს იგი საკმაო რაოდენობით აქვს — 4 წყვილი კალაპოტი, 31 ბირთვი, 20 ბადრო და სხვ. ეს აღჭურვილობა თუნდაც ყველა მძლეოსანს დააკმაყოფილებდა, მაგრამ... რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები თავს არ იწუხებდნენ სექციების საქ-

**26 კომისრის სახელობის რაიონში „სპორტის დედოფალს“ პატივს არ სცემენ**

მიანობის წესიერად წარმართვისა და სპორტსმენთა ტექნიკური დონის სრულყოფისთვის. რის გამოც სექტორებზე ხშირად სიცარიელე სუფევდა.

აი, რა გვიამბო სტადიონის დირექტორმა კ. ყრუაშვილმა:

— რაიონში ბევრია მრავალრიცხოვანი კოლექტივი — ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისანი“, ქარხანა „მიკროძრავა“, მაკარონის ფაბრიკა, ათობით საშუალო სკოლა, მაგრამ იქაურ მძლეოსნებს აქ იშვიათად შეხვდებით. ამის მიზეზად მათ მოყავთ საიჯარო ქირის სიძვირე, რაც საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან ჩვენთან იგი საათში სულ 3 მანეთით განისაზღვრება. და თუმცა სტადიონი სამეურნეო ანგარიშზეა, ზოგჯერ ჩვენ დათმობაზე მივდივართ (ჩვენივე რაიონის ინტერესებისთვის) და არასოდეს გვითქვამს უარი სავარჯიშოდ მოსული ახალგაზრდებისათვის. მაგრამ ეგაა, რომ ისინი იშვიათად ჩანან.

კ. ყრუაშვილის ნათქვამს დავუმატებდით, რომ სტადიონის სიცარიელეში დირექციასაც მიუძღვის ბრალი. მძლეოსნობაში ვარჯიშისთვის იგი მთლად კეთილმოწყობილი როდია: სიგრძესა და სიმაღლეზე სახტომი 4 სექტორიდან მხოლოდ ორია ხეირიანი, უპატრონობაა გასახდელებში, შესაკეთებელია სარბენი ბილიკები. ისიც უნდა ითქვას, რომ აქ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მძლეოსნობის პროპაგანდას, არავის უზრუნვია საინტერესო შეხვედრათა კლუბის დასაარსებლად და იქ ცნობილი სპორტსმენების მისაწვევად, საჩვენებელი მატჩების მოსაწყობად, ფოტოსტენდების გასაკეთებლად.

სტადიონის დირექციის ინიციატივით შარშან იშვიათად ეწყობოდა შეჯიბრებები და სამატჩო შეხვედრები. არავის მოჰგონებია მტყორცნელის, სპრინტერის, მხტომელის დღეთა გამართვა. ცხადია, მარტო სტადიონის დირექციას ყველაფრის ორგანიზება გაუჭირდება, ამიტომაც მას მხარში უნდა ამოუდგნენ რაიონის სპორტკავშირი და მძლეოსნობის ფედერაცია, თორემ სტადიონის მძლეოსნური სექტორები წელსაც ქარის ხანავარდო იქნება.

ვ. ბუკია.



პირველი ნაბიჯები... ფოტო გ. სანაიასი.

# 1. ჯანმრთელნი რომ ვიყოთ და დიდხანს ვიცოცხლოთ...

ადამიანი ჯანმრთელი უნდა იყოს და დიდხანს ცოცხლობდეს. ამას, უეჭველია, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურითა და სპორტით მეცადინეობა. ფიზიკური კულტურის ერთ-ერთ სახეობად, კერძოდ, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთათვის მსურს შემოგთავაზოთ ძველი ჩინური ტანვარჯიშის ზოგიერთი ფორმა. აღნიშნული ტანვარჯიში დადგენილია სარწმუნო მეცნიერული წყაროებით და პრაქტიკულად გამოყენებულია თანამედროვე მედიცინაში.

ძველი ჩინური მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობიდან, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი ყურადღებითა და დიდი ინტერესით ხარგებლობს ხალხური ტანვარჯიში, რომელსაც სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის იყენებენ. მისგან ბევრი რამ სასარგებლო გადმოღებულია ჩვენშიც და გულდასმითი შემოწმების შემდეგ წარმატებით გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში.

განსაკუთრებით ძვირფასი და თავისებურია (და ამის გამო ფართოდაც იყენებენ) ძველი ჩინური ტანვარჯიშის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ტაი-ძის უწოდებენ. ამ ტანვარჯიშის თაობაზე ერთობ ხატოვნად თქვა ძველი საუკუნეების გამოჩენილმა ექიმმა შენმა: „თუ კარის სახელური ხშირად მოძრაობს, ის არ ჟანგდება. ასევე ადამიანიც: თუ იგი ბევრს მოძრაობს, არც ავადმყოფობს და არც „ლპება“.

### ექიმი გვირჩევს

ტაი-ძის განსაკუთრებულობა, მისი უბრალოებისა და იოლად ხელმისაწვდომობის ძალით, იმაში მდგომარეობს, რომ მას ერთნაირად ეტანება ახალგაზრდაც და საშუალო თუ უფროსი ასაკის ადამიანიც. მისი მიმდევარნი დილაობით სისტემატურად ასრულებენ მოძრაობათა ამ თავისებურ კომპლექსს, რომელიც მათ ჯანმრთელობას უნარჩუნებს, და 60-80 წლის ასაკშიც კი დაჩაჩანაკებულ მოხუცებს კი არ ჰგვანან, არამედ სრულიად მხნე, შრომისუნარიან, ხალისიან ადამიანებს.

ამ ტანვარჯიშის თავისებურებაა თვითმასაჟის ხერხების ფართო გამოყენება. მისი ღირსება კი ისაა, რომ ვარჯიშები სტრუქტურით რთული არ არის, მათი შესრულება ადამიანს დიდად არ ტვირთავს, ადვილია მათი ინდივიდუალიზება. ეს ვარჯიშები საკმაოდ დინამიურია, ხოლო თვითმასაჟის მოძრაობებით (თუმცა კი მათი ამპლიტუდა დიდი არ არის) მოქმედებაში ერთვება კუნთების შედარებით დიდი ჯგუფი.

თვითმასაჟი აჩქარებს სისხლისა და ლიმფების მოძრაობას, აუმჯობესებს სიცოცხლისათვის ცვლას და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ნერვულ ცენტრებზე. ამას გარდა, ჩინური ჰიგიენური ტანვარჯიშით მომეცადინეთა ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ადვილად ხერხდება ორგანიზმის დატვირთვის დიფერენცირება-სხვადასხვაობა. ეს მიიღწევა: ხეანსის სხვადასხვა ხანგრძლიობით (რამდენიმე წუთიდან მთელ საათამდე); ყოველი მოძრაობის განმეორების რიცხვით (5-10-ჯერ და მეტჯერ); მოძრაობათა ამპლიტუდით (მეტად მცირეთი და უფრო ფართოთი); მოძრაობათა ტემპით (ნელით და სწრაფით); ცალკეულ ვარჯიშთა შორის შესვენებათა მეტ-ნაკლები ხანგრძლიობით.

დიდხანს სიცოცხლის მიღწევისთვის შენი გვირჩევს ზემოაღნიშნული ტანვარჯიშით ვიმეცადინოთ დღეში ორჯერ — დილით (საწოლშივე) და დღის მეორე ნახევარში, სუფთა ჰაერზე (ბაღში ან ეზოში).

აქვე უნდა მოვიტანოთ პროფესორ გ. კრასნოსელსკის მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა: „ტაი-ძის მოძრაობათა ანალიზი, აგრეთვე მომეცადინეთა ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეაქციის ხასიათზე ჩვენი დაკვირვებანი გვარწმუნებენ, რომ ტაი-ძი საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს მთელს ორგანიზმზე. იმის წყალობით, რომ ვარჯიშები ერთდროულად რამდენიმე სახსარს, ხან კი კუნთების დიდ ჯგუფებსაც მოიცავს და აქცენტი წელის არეში მოძრაობებზე გადააქვს, იქმნება კეთილისმყოფელი პირობები სისხლის მიმოქცევის გაძლიერებისათვის. ამასთან, მცირდება მოდუნების მოვლენები, კერძოდ, მუცლის არეში“.

მომდევნო წერილში წარმოგიდგენთ ტაი-ძის პრაქტიკულ ვარჯიშებს.

დ. კნოპი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

## ძველი ჩინური ტანვარჯიში საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთათვის

## ჭადრ

● ჰასტინგსი, 8 იანვარი. ტრა...
ლოსწინა, VIII ტურში ვ. ულმანმა ...
ტლვუდი, ხოლო ბ. ხპასკი და იუგ...
თანხმდნენ. უკანასკნელ, IX ტურში ...
ხოლო ულმანმა — რუმინეთის ჩემპ...
და ულმანმა 7,5-7,5 ქულა დააგრო...
ჰოთა დიდოსტატი ე ვასიუკოვი 6 ...
რიჩმა და ჰ. პფლეგერმა IV-V ადგი...

ვეხმაურებით ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები..."

# მოწვეული მწვრთნელი მაინც დროებითი კაცია

Გასული წლის მიწურულში „ლელოს" ფურცლებზე გამოჩნდა ვ. მდივნის წერილი „შედეგები, პრობლემები...", რომელმაც საერთო ინტერესი გამოიწვია. რა თქმა უნდა, მეც ყურადღებით წავიკითხე იგი.

ასეთი სტატიების გამოქვეყნება, თავისთავად, ძალიან საყურადღებო და სასარგებლო საქმეა, მით უმეტეს, რომ რედაქცია მას საპოლემიკო ხასიათს აძლევს და იგი საერთო სამსჯავროზე გამოაქვს ფეხბურთის მწვრთნელებს, სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ გამოთქვან თავიანთი შეხედულებანი კონკრეტულ, საჭირბოროტო საკითხებზე, დასახონ გზები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შეიძლება მთელ რიგ საკითხებში არ დაეთანხმო ვ. მდივანს და ედავო მას, მაგრამ მისი წერილი ძირითადად სწორად ასახავს ჩვენს გუნდებში შექმნილ მდგომარეობას, მიუთითებს არსებულ ხარვეზებზე და სააშკარაოზე გამოაქვს ისინი. ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა მსურს გამოვთქვა: ავტორი უკეთესს იზამდა, თუ სტატიას დაწერდა უფრო გასაგები, პოპულარული ფორმებით, თავის მთავარ, საკვანძო შეხედულებებზე იმსჯელებდა უფრო გასაგები, ხელმისაწვდომი ენით. აღნიშნულ წერილს ხომ გაცილებით უფრო ფართო აუდიტორია ჰყავს, ვიდრე ფეხბურთის დარგში მომუშავე სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფია. ამიტომ ჯობდა კურსიც ამ მასობრივ მკითხველზე ყოფილიყო აღებული.

სწორია ვ. მდივანი, როცა ლაპარაკობს ფეხბურთელის საწვრთნელ დატვირთვათა შესახებ. თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია მაღალი დატვირთვების გარეშე. ის რეკომენდაციები, რომლებიც ოსტატთა გუნდებმა მიიღეს საწვრთნელი საათების გადიდების თაობაზე, გამოცდილებით და ცხოვრებით ნაკარნახევი, ამიტომ მათი შესრულება სავალდებულო საქმეს წარმოადგენს თვითეული ფეხბურთელისთვის, რომელსაც სურვილი აქვს ხეირიანად ითამაშოს. რასაკვირველია, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური თავისებურებანი, ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური თვისებები, დიფერენცირებული მიდგომა მათდამი გარკვეულ შემთხვევებში, ვინაიდან ყველა ფეხბურთელის (და, საერთოდ, სპორტსმენის) ერთნაირი დოზით დატვირთვა არ შეიძლება. მაგრამ ფაქტია ის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დატვირთვა მაქსიმალური უნდა იყოს. არამცდაარამც არ შეიძლება დაყრდნობა იმ მცდარ შეხედულებაზე, თითქოს ჩვენი, ქართველი ფეხბურთელების სპეციფიკა და მათი თავისებურებანი საფუძველს წარმოადგენს იმისა, რომ მათი წვრთნა შეზღუდული ლიმიტით ვაწარმოოთ. ტალანტი უცილობლად საჭიროებს დიდ შრომისუნარიანობასაც. პელე არასოდეს პელე არ იქნებოდა, რომ ასეთი გაზრდილი „ულუფით" ვარჯიში არ ყვარებოდა.

მე მოვიყვან სხვა, უფრო ახლო მაგალითსაც. იყო დრო, როცა სპეციალისტთა გარკვეულ ნაწილს დიდი მომავლის ოსტატად არ მიაჩნდა ახალგაზრდა ფეხბურთელი გ. ჩოხელი. მაგრამ გ. ჩოხელმა თავდაუზოგავი, სანიმუშო შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, ივარჯიშა, იმეცადინა და საერთაშორისო ოსტატის კლასსაც მიაღწია.

ჩვენმა მწვრთნელებმა სამეცადინო პროცესის წარმოებისას მთელი თავიანთი შემოქმედებითი აქცენტი უნდა გაამახვილონ ინდივიდუალური მიდგომას, თვითეული ფეხბურთელის თავისებურებათა გათვალისწინების მიმართებით. ქართველი ადამიანის ბუნება და სპეციფიკა სულაც არ გამორიცხავს დიდ შრომასა და დიდ დატვირთვას, სულ ერთია, იქნება ეს ფეხბურთი, თუ სხვა რომელიც გნებავთ დარგი.

არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები ვ. მდივანს იმ საკითხში, რომ ჩვენ არა გვყავს საკუთარი კადრები, რომელთაც ძალუძთ უმაღლესი კლასის ოსტატებთან მუშაობა. აბა, ვინ შექმნა ქართული ფეხბურთი? ვის მიჰყავდა იგი უმაღლესი მწვერვალებისკენ? ნუთუ მარტო მოწვეულ სპეციალისტებს?! აბსურდია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენში არ მოიძებნებიან ნიჭიერი აღმზრდელები და პედაგოგები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ პირველხარისხოვან კოლექტივებს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას და ითქვას დიდი გულისტკივილით: ჩვენს მწვრთნელებს არ სურთ მეცადინეობა და ზრუნვა საკუთარი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ის, რომ ოდესღაც კარგად თამაშობდი ფეხბურთს, სრულიადაც არ წარმოადგენს გარანტიას აღმზრდელის საქმიანობის კარგად წარმართვისთვის. ჩვენი მწვრთნელები კი არ იმაღლებენ პრაქტიკულ თუ თეორიულ ცოდნას, არ გადიან შესაბამის სემინარებს და კურსებს (თუმცა, მართალია ისიც, რომ ასეთი ღონისძიებანი რესპუბლიკაში ერთობ იშვიათად ეწყობა). ალბათ ამიტომაა, რომ მოწვეულ მწვრთნელებს ჩვენში გაცილებით მეტი ნდობა და ავტორიტეტი აქვთ ხოლმე, ვიდრე ადგილობრივ სპეციალისტებს. მწვრთნელთა კადრების მომზადება და აღზრდა ისეთივე საპასუხისმგებლო და საჭირო საქმეა, როგორც ფეხბურთელებისა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოწვეული მწვრთნელი მაინც დროებითი კაცია და გუნდის დღევანდელი დღით ფიქრობს, ხოლო ხვალინდელი ამბები და რეზერვები მას მაინცდამაინც არ ეჭაშნიკება და არც აქვს გარკვეული წარმოდგენა ქართული ფეხბურთის მომავალზე. განა მტკიცება უნდა იმას, რომ ქართველი მწვრთნელი ქართული ფეხბურთითაა გაჟღენთილი, იცის მისი თვითეული დეტალი და მისი მომავლით ცხოვრობს?

სწორია ვ. მდივანი, როცა ლაპარაკობს დაცვის თამაშის პრინციპებზე. ზონური მოქმედების პრინციპი თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მაგრამ ხომ არ შეიძლება ასე ხელაღებით უარი ვთქვათ პერსონალურ დაცვაზე, ე. წ. პრესინგზე? არის შემთხვევები, როცა უამისოდ თამაში ყოვლად შეუძლებელია. აბა, სცადეთ და ეთამაშეთ პელეს პერსონალური დაცვის გარეშე! ვერ დათვლით გოლებს! ამიტომაა, რომ ასე მჭიდროდ ეთამაშებიან ვ. ივანოვს, ს. მეტრეველს, მ. მესხს და სხვებს, მაგრამ თბილისის „დინამოში" რომ განაპირა მცველების საერთო ურთიერთმოქმედება და დაზღვევა არ ვარგა, ეს სინამდვილეა. არც ნახევარმცველები თამაშობენ სწორად, როცა ორივე ერთდროულად ტოვებს პოზიციებს შეტევის წარმოებისას და მეტოქეს ღიად უტოვებს ოპერატიულ არეს.

საქართველო როგორც არასდროს, ისე კარგადაა წარმოდგენილი საკავშირო და სხვა დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში, მაგრამ ყველამ ჯერ კიდევ ვერ შეიგნო როლი და დანიშნულება ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრების თვითეული რგოლისა. ბავშვთა შეჯიბრებები, საქართველოს პირველობა, „ბ" კლასი, „ა" კლასის II ჯგუფი, — ეს ხომ აღმავალი კიბეა, რომლის საფეხურებზეც უნდა იარონ ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა ჩვენს საუკეთესო გუნდებს რომ მიაღწიონ. ეს ჭეშმარიტება კი ბევრს დავიწყებული აქვს. ქულები, ქულები! აი, რა აინტერესებთ მწვრთნელებს, აი, აქეთაა გამახვილებული ძირითადი ყურადღება ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრივაც. ქულის მოსაპოვებლად იბრძვის ყველა, ამასობაში კი, ვინ იცის, კარგი მონაცემების მქონე რამდენ ახალგაზრდა მოთამაშეს ვკარგავთ. მათთვის, უბრალოდ, ყურადღება აღარ გვყოფნის.

სწორედ ქულათა ავადმყოფობითაა გამოწვეული ის, რომ ბევრი მწვრთნელი არ ზრუნავს მომავალი თაობის, სრულფასოვანი რეზერვების აღზრდაზე, იზღუდება ყოველდღიური, წვრილმანი საქმიანობით და ამით, ფაქტიურად, ქართული ფეხბურთის შემდგომი წინსვლის დიდმნიშვნელოვან საქმეს ჩამორცილებულია.

ავიღოთ, თუნდაც საქართველოს „ბ" კლასის გუნდები. გასაგებია, რომ თვითეული მათგანი უნდა იბრძოდეს ჩალალი ადგილის დაკავებისათვის საკავშირო გათამაშებაში, მაგრამ პერსპექტიული მოთამაშეები? სად არიან ისინი? შეგვიძლია დავასახელოთ ქიქავა (ბათუმი), ერქომაიშვილი (სოხუმი), ჯიბლაძე (ფოთი) და... მორჩა. „ბ" კლასის კოლექტივებში არავინ ფიქრობს იმაზე, რომ საქართველოს ჰყავს უმაღლესი კლასის გუნდები, რომლებსაც შევსება ესაჭიროება და ეს შევსება სწორედ იმ ქალაქებში უნდა აღიზარდოს, სადაც „ბ" კლასის ან რესპუბლიკური ჩემპიონატის კოლექტივებია იქნებ ჯობია რამდენიმე გუნდს ამოცანად დავუსახოთ არა ქულათა ძიება, არამედ ახალგაზრდა ტალანტების აღზრდა და გამოწრთობა? ხომ ფაქტია, რომ ჩვენ დიდი რაოდენობით ვკარგავთ 17-18 წლის ფეხბურთელებს, რომელთა მომავალზე ხეირიანად არავინ ფიქრობს.

დაბოლოს, რახან საქართველოში ასეთი დიდი რაოდენობით გვყავს „ა" და „ბ" კლასების გუნდები, რახან აქ ასეთი მასშტაბით ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრება და დიდძალი მოცულობის საქმეებიც გვაქვს, უნდა აქტუალურად დადგეს საკითხი იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკურ სპორტკავშირში დაიშვას კიდევ ერთი საშტატო ერთეული. ეს ახალი მუშაკი, ვთქვათ, თავს გაართმევდა წმინდა საკანცელარიო და საოქმო საქმეებს, რითაც საშუალებას მისცემდა მთავარ მწვრთნელს და ფედერაციის ხელმძღვანელობას სათანადო დრო დაეთმოთ ოსტატთა კოლექტივებისთვის, აგრეთვე რეზერვის აღზრდის საქმეთა მიმდინარეობისთვის ჩვენში.

**ნ. ჩხატარაშვილი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ფეხბურთი

# თბილისის დინამოელთა კრებაზე

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივში გაიმართა საორგანიზაციო კრება. შეკრებილთ გულთბილი სიტყვით მიმართა თბილისის „დინამოს" ყოფილმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კაჩალინმა. მან ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება იმ ხარვეზებზე, რომლებიც გუნდს შარშანდელ სეზონში ჰქონდა და იმედი გამოთქვა, რომ თბილისელი ფეხბურთელები დაუღალავი შრომით წლეულს გამოასწორებენ ნაკლოვანებებს და საკავშირო ჩემპიონატში კვლავ მოიპოვებენ შესაფერის ადგილს.

გ. კაჩალინმა თქვა, რომ მას მუდამ ყურადღების ცენტრში ეყოლება თბილისელი ფეხბურთელები და არასოდეს დაივიწყებს მათთან გატარებულ ძნელ, მაგრამ მეტად საინტერესო დღეებს.

დინამოელთა სახელით გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მეტრეველი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყოფილ მწვრთნელს თბილისის ფეხბურთელთა კოლექტივში 2 წლის მანძილზე გაწეული დიდი შრომისათვის და დაბეჯითებით განაცხადა, რომ თბილისელთა კარგ თამაშს კვლავ იხილავენ მაყურებლები.

საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ შეკრებილთ წარუდგინა გუნდის ახალი უფროსი მწვრთნელი ა. კოტრიკაძე, მწვრთნელი გ. ჩოხელი და გუნდის უფროსი გ. კირვალიძე. ფეხბურთელებს მან დაუსახა უახლოესი ამოცანები და იმედი გამოთქვა, რომ დინამოელები მომავალ სეზონში გაამართლებენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის იმედებს. გ. სიხარულიძემ მადლობა გადაუხადა გ. კაჩალინს „დინამოს" კოლექტივში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის და დიდი წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემაც მადლობის სიტყვებით მიმართა გ. კაჩალინს და პირობა დასდო, რომ დინამოელები წლევანდელ სეზონში წარმატებით იბრძოლებენ.

— სწორედ ამით გვსურს დაგიმტკიცოთ ჩვენი თქვენდამი დიდი პატივისცემა, — უთხრა მან კაჩალინს.

ახალმა უფროსმა მწვრთნელმა ფეხბურთელთა კოლექტივს აუწყა, რომ ახალი სეზონისთვის სამზადისი იწყება 10 იანვარს.

# გუშინ...

# პროფკავშირთა ასპარეზობის საგზურისთვის

Თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის დარბაზში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის „ბურევესტნიკთან" არსებული ბავშვთა სპორტსკოლების ნაკრები გუნდები. დებულების თანახმად, ამ ტურნირში გამარჯვებული კოლექტივი სსრ კავშირის პროფკავშირების წლევანდელ პირველობაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

ორი დღის ასპარეზობის შედეგად საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს ნორჩმა ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა. II ადგილზე მიდის იჟევსკის გუნდი, III — ნოვოსიბირსკის მოზარდ სპორტსმენთა კოლექტივი.

პირადი პირველობა ტარდება უფროს და უმცროს ასაკებში ცალცალკე.

უფროსი ასაკის გოგონათა შორის ოსტატობის პროგრამით I ადგილზეა თბილისელი ზ. ისაკო (37,0 ქულა). მას 0,3 ქულით ჩამორჩება ლ. ზაკიროვა (მაგნიტოგორსკი). III ადგილზეა მ. ჩაჩხიანი (თბილისი). პირველთანრიგოსან გოგონებში ლიდერობს იჟევსკელი ლ. კოზლოვა (35,1). უმცროსი ასაკის გოგონებს შორის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით ასპარეზობაში პირველობას ინარჩუნებს თბილისელი ლ. ბოგოლიუბოვა.

უფროსი ასაკის ჭაბუკებში სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით საპრიზო ადგილებზე შესაბამისად არიან ა. გნოლიძე, შარშანდელი ჩემპიონი ნ. მიქელაძე და დ. მაისურაძე. უფროსი ასაკის პირველთანრიგოსნებში ძალზე დაწინაურდა თბილისელი ე. მკრტიჩიანი.

შეჯიბრება გრძელდება.

**ლ. ქორქია,**
სპორტის ოსტატი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# მხიარული ფანქრით




ნახატები ამოღებულია ჟურნალ „სპორტოვიეც"დან (პოლონეთი).

# ჭადრაკი

...ჰალი საჭადრაკო ტურნირის ბო-... დაამარცხა ინგლისელი ნ. ლი-... ს. გლიგორიჩი ყაიმზე შე-... მოუგო ვ. ნიკოლაის (გფრ). ...გიორგიუს. ამრიგად, სპასკიმ ... I-II ადგილები გაიყვეს. ხაბ-... III ადგილზე დარჩა. გლიგო-... [illegible]ყვეს.

● **გრონინგენი, 8 იანვარი.** ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა კიდევ 3 ტური. შესანიშნავად ითამაშა ინგლისელმა ა. უაიტლიმ. მან დაამარცხა ავსტრიელი გ. დანერი, შვეიცარიელი ა. ლომბარდი და ყაიმით დაამთავრა პარტია პოლონელ პ. ეჯესთან. ახლა მას 9 შეხვედრიდან 7,5 ქულა აქვს და დამაჯერებლად ლიდერობს ტურნირს.

● **სალონიკი, 7 იანვარი.** დიდი წარმატებით გამოვიდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაზე საბერძნეთის ამ ქალაქში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები. ქალთა ერთეულებში ზ. რუდნოვამ მოუგო ევროპის ჩემპიონ ე. კოციანს (უნგრეთი) — 3:0, ა. ამელინმა დაამარცხა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი, კოციანის თანამემამულე ზ. ბერციკი — 3:2. შერეულ წყვილებში რუდნოვამ და ამელინმა მოუგეს უნგრელებს, ხოლო ქალთა წყვილებში საუკეთესო იყო რუდნოვასა და ბერძენ მ. ლედნის დუეტი.

● **ლვოვი. 7 იანვარი.** არმიელ ძალოსანთა შეჯიბრებაზე იუნიორთა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტმა, 19 წლის ვ. კრიშჩიშინმა (მჩატე წონა): მან 109,5 კგ აწია და 4,5 კილოგრამით გადააჭარბა თავისივე რეკორდს. აღსანიშნავია, რომ ნიჭიერი ძალოსნის შედეგი 3,5 კგ-ით აღემატება უკრაინის რეკორდს მოზრდილებისთვის.

● **ოტეპია, 7 იანვარი.** ესტონეთის ამ პატარა ქალაქის წარმტაც გარეუბანში დაიწყო სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების მოთხილამურეთა ასპარეზობა. შეჯიბრება გახსნეს ბიატლონისტებმა. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ვ. მელანინსა (საბჭოთა არმია) და ა. პრივალოვს („დინამო") შორის. არმიელმა ძალზე იყოჩაღა. იგი მშვენივრადაც ისროდა და მეტოქეზე სწრაფადაც დარბოდა — 20 კმ აჩვენა 1.17 48.0. ამ მანძილზე საუკეთესო დრო ჰქონდა არმიელ ნ. პუზანოვს (1.15.10,0), მაგრამ მას სროლაში უმტყუნა ბედმა — 6 საჯარიმო წუთი „მოიხვეჭა". ბიატლონისტთა შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესარჩევ ხასიათს ატარებდა.

▲ რიო-დე-ჟანეირო. ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ამარილდომ, რომელიც ამჟამად „მილანში“ თამაშობს, ითხოვა სამშობლოში დაბრუნება და „სანტოსის“ კლუბს წერილით მიმართა გამოისყიდონ იგი. მაგრამ „სანტოსი“ არ აპირებს ამარილდოს თხოვნის დაკმაყოფილებას.

▲ ნაირობი. ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში კენიელი სტაიერის კ. კეინოს წარმატებული ტურნეს აღსანიშნავად სახელგანთქმულ მძლეოსანს მთავრობამ საზეიმო მიღება გაუმართა. მიღებას ესწრებოდა კენიაში სტუმრად მყოფი ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I.

▲ ბრიუსელი. ბელგიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა იმ 68 სპორტსმენის სია, რომლებიც მეხიკოს ოლიმპიადაში დაიცავენ ამ ქვეყნის ღირსებას.

მხატვრული ტანვარჯიში — სპორტის ეს ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახეობა, სულ უფრო ფართო პოპულარობას იხვეჭს მსოფლიოს მასშტაბით. ამის დადასტურებაა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ 1963 წლიდან უკვე მსოფლიოს ჩემპიონატებიც ტარდება მხატვრულ ტანვარჯიშში.

სპორტის ამ სახეობის გავრცელების ერთ-ერთი კერაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. რომლის საუკეთესო მხატვრული ტანმოვარჯიშე უტე ლემანი მსოფლიოს ორივე ჩემპიონატის მონაწილეა და უძლიერესთა ათეულშიც კი მოხვდა.

სურათზე: უ. ლემანიასრულებს ვარჯიშს უსაგნოდ.





# „რკინის ნორმანდიელი“

შეკითხვა: სპორტულ პრესაში ძალიან ხშირად ვხვდებით ფრანგი ველოსიპედისტის ჟ. ანკეტილის სახელს. რით დაიმსახურა მან ესოდენ დიდი, საყოველთაო ყურადღება? გთხოვთ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მოგვითხროთ ამ სპორტსმენზე.

შ. ლაჩაშვილი.

თბილისი.

14 წელია, რაც სპორტული პრესის ფურცლებს არ სცილდება ფრანგი ველოსიპედისტის ჟაკ ანკეტილის სახელი. ლეგენდარული იტალიელის, ჩემპიონთა ჩემპიონის ფაუსტო კოპის შემდეგ (იგი გარდაიცვალა 1960 წლის იანვარში) ანკეტილი თანამედროვე ველოსპორტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მართალია, იგი არასდროს გამხდარა მსოფლიოს ჩემპიონი და წლის საუკეთესო სპორტსმენად არ დაუსახელებიათ, მაგრამ სპეციალისტებს ანკეტილი ერთხმად მიაჩნიათ უფრო გამოჩენილ პიროვნებად, ვიდრე ფეხბურთის, ჩოგბურთისა თუ რეგბის ვარსკვლავები, სახელგანთქმული ტორეადორები თუ ავტომრბოლელები. პროფესიონალი ანკეტილი ყველაზე ძვირადღირებული სპორტსმენია მსოფლიოში: მისი ყოველთვიური წმინდა შემოსავალი 20 ათას დოლარს შეადგენს. ერთ-ერთი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით, ანკეტილს შეუძლია ბაჯაღლო ოქროსგან გაკეთებული ველოსიპედით იაროს.

ჟ. ანკეტილი დაიბადა 1934 წლის 8 იანვარს ნორმანდიაში, ქ. რუანის მახლობლად, სოფელ მონ-სენ-ენანში. სპორტული ნათლობა 1951 წელს მიიღო. თავის პროვინციაში 7 გამარჯვების მერე მან ნორმანდიის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც 18 წლის ველოსიპედისტმა ჯგუფურ რბოლაში XII ადგილი დაიკავა, იგი პროფესიონალებში გადავიდა და ერთ წელიწადში სახელი გაითქვა, როგორც „ეროვნებათა დიდ პრიზში“ გამარჯვებულმა. მომდევნო 12 წლის მანძილზე მან ეს ჯილდო კიდევ შვიდჯერ დაიმსახურა და ამდენჯერვე მოიგო „ლუგანოს დიდი პრიზი“.

ანკეტილი ერთადერთი ფრანგი ველოსიპედისტია, რომელმაც I ადგილი დაიკავა „ჯირო დ'იტალიაში“ (1960 და 1964 წ. წ.). ამავე დროს, იგი მსოფლიოში მესამე სპორტსმენია (იტალიელების ჯ. ბარტალისა და ფ. კოპის შემდეგ), რომელმაც ერთ სეზონში (1964 წ.) ორი ვეებერთელა ტურნირი მოიგო — „ჯირო დ'იტალია“ და „ტურ დე ფრანსი“. 1965 წელს ანკეტილმა შესძლო ის, რაც თვით კოპის არ გაუკეთებია: „კრიტერიუმ დოფინის“ 10-ეტაპიან რბოლაში გამარჯვების 1 საათის შემდეგ ბორდოში გაფრინდა, ნაშუაღამევის 2 საათზე მარათონული შეჯიბრების — ბორდო — პარიზის სტარტი აიღო და 15-საათიანი განუწყვეტელი რბოლის შემდეგ (მან აქ 557 კმ დაფარა) ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

ანკეტილი წარმატებით გამოდის ტრეკზეც. 5-კილომეტრიან დისტანციაზე იგი საფრანგეთის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის II პრიზიორი იყო. 1956 წელს ანკეტილმა საათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა (46,2 კმ). 2 წლის შემდეგ ეს ზღაპრული მიღწევა რეკორდსმენის თანამემამულემ რ. რივიერმა გააუმჯობესა, მაგრამ ანკეტილი რეკორდის დაბრუნების იმედს დღესაც არ ჰკარგავს.

32 წლის ანკეტილი კვლავინდებურად დაუმარცხებელია დროზე ინდივიდუალურ რბოლებსა და მრავალდღიან მარათონულ შეჯიბრებებში.

ჟაკის (სიმაღლე 174 სმ, წონა — 70 კგ) ტექნიკა სპეციალისტებს იდეალურად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომაა, რომ იგი იშვიათად ეცემა და ამიტომ სერიოზულად არც დაშავებულა. მასზე ამბობენ, რომ იგი „გულით“ კი არ იმარჯვებს, არამედ გონებითო. მას თითქოს არც აინტერესებს ეფექტური მოგება და როგორც თვითონ ამბობს, სპორტსმენისთვის მთავარია პირველი იყოს.

იგი მხოლოდ ერთხელ აჰყვა გულისთქმას, როდესაც თავისი პირადი ექიმის ცოლს — ჟანინს შეხვდა და მალე იგი... შეირთო კიდეც.

ანკეტილის გულცივი და მკაცრი ხასიათი საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ ფრანგები მეტ პატივს სცემენ მის მუდმივ და უიღბლო, ძალიან სიმპათიურ მეტოქეს რ. პულიდორს.

ლეგენდარულ კოპის ველოსპორტის მოყვარულნი თაყვანს სცემდნენ. ბობე საფრანგეთის ეროვნული გმირი იყო. ანკეტილი კი, უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს, გაკვირვებას და არა სიყვარულს და მაინც მისი სტუმართმოყვარული ვილა მუდამ სავსეა მეგობრებით — ველოსპორტისა და ბრიჯის მოტრფიალეებით.

ამჟამად ანკეტილი ანტილის კუნძულებიდან დაბრუნდა, სადაც 1966 წლის სეზონისთვის ემზადებოდა. მთაში ხანმოკლე დასვენების შემდეგ იგი რეგულარულ წვრთნას შეუდგება.

შარშან ანკეტილმა განზრახ არ მიიღო მონაწილეობა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში და სწორედ ამიტომ დაიკავა მან ოფიციალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ III ადგილი (ფ. ჯიმონდისა და ტ. სიმპსონის შემდეგ). წლეულს კი მას განზრახული აქვს ჯერ „ჯიროში“ მონაწილეობა, შემდეგ კი „ტურ დე ფრანსში“. ამას წინათ ანკეტილმა განაცხადა, რომ თუ ჯანმრთელობა არ უღალატებს, სპორტს 1968 წლამდე არ ჩამოსცილდება და ვინაიდან „რკინის ნორმანდიელმა“ ეს თქვა, დარწმუნებული იყავით, რომ ასეც მოხდება.

მ. ბარამია.

• • •

სურათზე: ჟაკ ანკეტილი თავის მეუღლესთან ერთად პარიზის ერთ-ერთ რესტორანში.

ეს ფოტოგრაფია ანკეტილმა უძღვნა ამ სტრიქონების ავტორს.

## „... პასუხი...“

# საინტერესო პროგნოზები

ბულგარეთის გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა“ ევროპის 9 ქვეყნის სპორტული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს დაუგზავნა საახალწლო ანკეტა, რომელშიც დასმული იყო ასეთი კითხვები:

1. 1965 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა;

2. როგორ განაწილდება საპრიზო ადგილები მსოფლიოს საფეხბურთო პირველობაში?

3. როგორ განაწილდება საპრიზო ადგილები ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში?

4. ვინ იქნებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში?

5. რომელი გუნდები გაიმარჯვებენ მშვიდობის ველორბოლაში?

აი, პასუხებიც:

**„სოვეტსკი სპორტი“**: 1. რ. კლარკის მსოფლიო რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში. 2. ბრაზილია, ინგლისი, იტალია; 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — სსრ კავშირი, ირანი, ბულგარეთი, კლასიკურში — სსრ კავშირი, ბულგარეთი, თურქეთი; 5. სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი.

**„პშეგლონდ სპორტოვი“** (პოლონეთი): 1. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდის გამარჯვება აშშ-ის მძლეოსნებთან; 2. ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი; 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — სსრ კავშირი, ბულგარეთი, ირანი, კლასიკურში — სსრ კავშირი, რუმინეთი, ბულგარეთი; 5. სსრ კავშირი, პოლონეთი, გდრ.

**„ჩესკოსლოვენსკი სპორტი“**: 1. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდის მიერ ამერიკელ მძლეოსანთა დამარცხება; 2. ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი; 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი; 4. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში — სსრ კავშირი. ბულგარეთი, თურქეთი და უნგრეთი იბრძოლებენ II-IV ადგილებისთვის; 5. სსრ კავშირი, გდრ, ჩეხოსლოვაკია.

**„სპორტულ პოპულარი“** (რუმინეთი): 1. აშშ-ის მძლეოსან ვაჟთა გუნდის პირველი დამარცხება სსრ კავშირთან; 2. ინგლისი, ბრაზილია, სსრ კავშირი; 3. ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, რუმინეთი; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — იაპონია, სსრ კავშირი, ბულგარეთი, კლასიკურში — სსრ კავშირი, იაპონია, თურქეთი; 5. სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი.

**„ნეპ შპორტი“** (უნგრეთი): 1. რ. კლარკის მსოფლიო რეკორდი; 2. ბრაზილია, გფრ, ინგლისი; 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — ირანი, იაპონია, სსრ კავშირი, კლასიკურში — სსრ კავშირი, პოლონეთი, თურქეთი; 5. სსრ კავშირი, გდრ, ჩეხოსლოვაკია.

**„დოიჩე შპორტეხო“** (გდრ): 1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გდრ-ის აღიარება და მისი დაშვება ოლიმპიურ თამაშებში; 2. ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი; 3. ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, იაპონია; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — ბულგარეთი, თურქეთი, სსრ კავშირი, კლასიკურში — სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი; 5. გდრ, სსრ კავშირი, პოლონეთი.

**„სპორტი“** (იუგოსლავია): 1. რ. კლარკის მსოფლიო რეკორდი; 2. ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი; 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იაპონია; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — სსრ კავშირი, ბულგარეთი, იაპონია, კლასიკურში — სსრ კავშირი, უნგრეთი, ბულგარეთი; 5. სსრ კავშირი, გდრ, ჩეხოსლოვაკია.

**„ეკიპი“** (საფრანგეთი): 1. რ. კლარკის მსოფლიო რეკორდი; 2. ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი; 3. ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, რუმინეთი; 4. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — ირანი, სსრ კავშირი. III ადგილისთვის იბრძოლებენ აშშ, ბულგარეთი, იაპონია, თურქეთი; კლასიკურში — სსრ კავშირი, უნგრეთი, პოლონეთი; 5. სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი.

• • •

**„გაზეტა დელო სპორტმა“** (იტალია) აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვა თავის 25 რედაქტორს. აი, შედეგები: 1. სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა გამარჯვება აშშ-ის გუნდთან (20 ხმა), 2. ინგლისი, ბრაზილია, სსრ კავშირი (16 ხმა); 3. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, გდრ (ერთხმად); 4. ორივე სტილით ჭიდაობაში — სსრ კავშირი, ბულგარეთი, თურქეთი (ერთხმად); 5. სსრ კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია (5 რედაქტორის აზრით. სხვებმა თავი შეიკავეს).

საწყლოსნო თხილამურებით ხტომა მეტისმეტად ძნელი საქმეა. საჭიროა ხანგრძლივი, მონდომებული წვრთნა, რომ უზადოდ და კოხტად შეძლო დიდი სისწრაფით ქროლვისას ხტომის ურთულესი ილეთების შესრულება.

ლუქსემბურგელი სპორტსმენი სილვია ჰუბემანი ამ სახეობის კარგ სპეციალისტად ითვლება. და, მიუხედავად ამისა, ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა ჰუბემანსაც კი გაუჭირდა ნახტომის უნაკლოდ შესრულება.





## გასწორება

ჩვენი გაზეთის 4 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მსოფლიოს მძლეოსანთა რეკორდების ცხრილში დაშვებულია შეცდომა. ბირთვის კვრაში ქალთა შორის მსოფლიოს რეკორდია 18,59 მ, ხოლო ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 39,0 წამი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ხვალ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ცენტრალურ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება „ცოდნისა“ და საქართველოს სპორტკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის ფედერაციების ბიუროსთან არსებული კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05808